პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 232 (9700) | ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

პეკინი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის დღეს გთხოვთ თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარეო, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა.

განვლილმა ოთხმა წელმა მთელ მსოფლიოს დაანახვა დიდი სიცოცხლისუნარიანობა და სიმტკიცე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ისტორიულ გარდაქმნებს ჩინეთში და უზრუნველყოფს ეკონომიკის, კულტურის აღმავლობას და ხალხის მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გახდა საერთაშორისო ძალა, რომელიც ნებას არ აძლევს იმპერიალისტებს თავისუფლად დაიმონონ აზიის ხალხები, დაუსჯელად განახორციელონ პოლიტიკა, რომლის მიზანი ის არის, რომ აზია ახალი მსოფლიო ომის კერად გადაიქცეს. კორეის ამბები შოწმობენ, რომ ჩინელი ხალხი გახდა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მძლავრი დასაყრდენი მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი პროგრესი მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას იწვევს. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩინელი ხალხის წინსვლა თავისი სამშობლოს ეროვნული აღმავლობისა და ყყვავების გზაზე.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს დიდ ჩინელ ხალხს ახალ წარმატებებს ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცების საქმეში.

დაე იზრდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად.

**გ. მალენკოვი**

1953 წლის 30 სექტემბერი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

მიიღეთ, ამხანაგო პრემიერო და მინისტრო, ჩემი გულითადი მოლოცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის გამო. ვისურვებ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურღვევი მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

**ვ. მოლოტოვი**

1953 წლის 30 სექტემბერი.

## პარტიული პროპაგანდის ახალი აღმავლობისათვის

დღეს იწყება სასწავლო წელი პარტიული განათლების მთელ ქსელში. ათასობით კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო მშრომელი შეუდგება პარტიული განათლების სხვადასხვა ფორმებში მეცადინეობას მარქსისტულ-ლენინური ცოდნის ასამაღლებლად.

კომუნისტური პარტია მუდამ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა და იჩენს ჩვენი კადრების, თვითეული კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლა გვამდიდრებს კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდი გამოცდილებით, გვიმაღლებს რევოლუციურ სიფხიზლეს, გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით, განგვიმტკიცებს ჩვენი გმირული პარტიის საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის უდიდესი დამრაზმველი და გარდამქმნელი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის სწორად გამოხატავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნებს, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს. ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ჩვენი პარტია რაზმავს და აღაფრთოვანებს მშრომელთა მასებს, წარმართავს მათს პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მარქსიზმ-ლენინიზმი შემოქმედებითი მოძღვრებაა. ის განუწყვეტლივ ვითარდება და მდიდრდება ახალი მეცნიერული დასკვნებითა და დებულებებით. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი მოითხოვს, რომ ჩვენი კადრები, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, მეცნიერები, მთელი ინტელიგენცია დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური ცოდნის სწორად გამოყენებას თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით გავაუმჯობესოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, აღმოვფხვრათ პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკიდან მარქსიზმ-ლენინიზმისაგან გადახვევა ისტორიაში პიროვნების როლის საკითხში, არ დავუშვათ მედავითნური, დოგმატიკური მიდგომა თეორიის შესწავლისადმი და მავნე მეცეტატეობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მტკიცედ შევითვისოთ მარქსიზმ-ლენინიზმის არსი პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებთან განუყრელ კავშირში.

პარტიული პროპაგანდის პრაქტიკიდან უნდა აღმოიფხვრას ის სერიოზული ნაკლი, როცა პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ღრმად შესწავლის ნაცვლად ხშირად კმაყოფილდებიან საკომენტარო ბროშურების კითხვით, რის გამო ვერ იღებენ ღრმა პოლიტიკურ ცოდნას.

მასების პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთი მეტად საგულისხმო ამოცანაა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის, მისი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური შედეგების პროპაგანდა, სისტემატურად ვზარდოთ მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობის სულისკვეთებით, დაუცხრომლად განვუმარტავდეთ მასებს დიდი რუსი ხალხის გადამწყვეტ როლს საბჭოთა კავშირის ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებაში.

ჩვენი პარტიული პროპაგანდა ულმობელ ბრძოლას უნდა ეწეოდეს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დებულებათა დამახინჯებისა და ვულგარიზაციის წინააღმდეგ.

მასებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს კომუნისტებისა და ყველა მშრომელთა აღზრდას პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

კომუნისტების, ყველა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერებას, პროპაგანდის იდეურ-თეორიული დონის, მისი ხარისხის ამაღლებას.

პარტიულმა კომიტეტებმა უწინარეს ყოვლისა მოწოდების სიმაღლეზე უნდა დააყენონ ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლება. ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრები მაგალითს უნდა იძლეოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებაში, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ღრმად ცოდნაში.

პარტიული განათლების ხარისხისა და ორგანიზებულობის მკვეთრად ამაღლება მოითხოვს ლექციური პროპაგანდის სერიოზულ გაუმჯობესებას. ლექციური პროპაგანდის სათანადო სიმაღლეზე დაყენება სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს იმ კომუნისტების მოთხოვნილებებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს ან გაერთიანებული არიან სემინარებში. პარტიის სოლიდ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან საჭიროა შეიქმნას ლექტორიუმები, სადაც სისტემატურად მოეწყობა ლექციები და მოხსენებები კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლექციებისა და მოხსენებების ხარისხს, მათი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ამასთან ლექციებისა და მოხსენებების შინაარსი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პარტიის ძირითად ამოცანებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

პარტიის ისტორიისა და თეორიის ღრმად დაუფლებისათვის აუცილებელია წრეებში, სემინარებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, საღამოს პარტიულ სკოლებში პირველწყაროებზე მეცადინეობისას მოეწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესაბამის ნაწარმოებთა და პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესწავლა, რომლებშიც გამოხატულია პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რაც მრავალი წლის მანძილზეა შემუშავებული.

პარტიული პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობაზე. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად აუმჯობესებდნენ პროპაგანდისტთა შემადგენლობას და განსაკუთრებული მზრუნველობით ზრდიდნენ მათ.

პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ადგილობრივ პრესას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი პრესა სისტემატურად აშუქებდეს პარტიული განათლების ქსელის მუშაობას, ავრცელებდეს დადებით გამოცდილებას, ეხმარებოდეს პროპაგანდისტებს თეორიული სტატიებით.

პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა აქედანვე სანიმუშოდ მოაწყონ პარტიული განათლების მთელი ქსელის — სკოლების, წრეების, სემინარების მეცადინეობა, მთელი პროპაგანდისტული მუშაობა აიყვანონ კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, კიდევ უფრო გაძლიერდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, როგორც საკოლმეურნეო წარმოებაში გადამწყვეტი ძალის როლი.

1952 წელს სამუშაოთა მექანიზაცია კოლმეურნეობებში შეადგენდა: მარცვლეულის თესვაში — 87 პროცენტს, კომბაინებით მარცვლეულის აღებაში — 70 პროცენტს, ანეულის ხვნაში — 96 პროცენტს, მზრალად ხვნაში — 97 პროცენტს, ბამბის თესვაში — 98 პროცენტს, შაქრის ჭარხლის თესვაში — 95 პროცენტს. მნიშვნელოვნად გადიდდა სხვა შრომატევადი სამუშაოთა მექანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წლითიწლობით აფართოებენ თავიანთ მუშაობას საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის მომსახურებისათვის.

მაგრამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობას დიდი ნაკლოვანებანი აქვს. ბევრი მტს-ი დამაკმაყოფილებლად არ იყენებს ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს კოლმეურნეობათა წინაშე, განსაკუთრებით მინდვრის სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის მხრივ, არ უზრუნველყოფს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმების შესრულებას. კოლმეურნეობებში დაბალია ბევრი შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის დარგში, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში, რაც სოფლის მეურნეობას ამ დარგებს ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია.

დიდი ნაკლოვანებებია მტს-ების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ორგანიზაციაში, დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი აგრონომიული დახმარება კოლმეურნეობებისადმი.

მტს-ების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზეზებია ის, რომ მტს-ები უზრუნველყოფილი არ არიან მექანიზატორთა მუდმივი კადრებით, აგრეთვე კვალიფიციური ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, სუსტად არის განვითარებული სარემონტო ბაზა და არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მოხმარება, რომ მტს-ების ტექნიკური უზრუნველყოფა ჩამორჩენა მათი მუშაობის გაზრდილ მოცულობას და იმ ახალ მოთხოვნებს, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს უყენებს მრავალდარგოვანი საკოლმეურნეო წარმოების განვითარება.

მტს-ების მნიშვნელოვან ნაწილში დღემდე საკმარისად არა ჰყავთ კარგად მომზადებული ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, კომბაინერები და სხვა სპეციალობათა მუშაკები, აღმოფხვრილი არ არის მექანიზატორთა კადრების დენადობა. ბევრ სატრაქტორო ბრიგადას არა ჰყავს მისაბმელ მანქანებზე მუდმივად მომუშავენი.

მოქმედი წესი, რომლის დროსაც ტრაქტორისტები, ბრიგადირები და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკები მტს-ების მუდმივი მუშები კი არ არიან, არამედ მათ კოლმეურნეთაგან გამოჰყოფენ ხოლმე არნებითად მხოლოდ მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის, ხელს არ უწყობს კადრების კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას, ტექნიკის უფრო ნაყოფიერად გამოყენებას და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს იმას იწვევს, რომ ბევრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ასრულებს ცვლის გამომუშავების ნორმებს, არ უზრუნველყოფს სამუშაოთა მაღალ ხარისხს, არ იცავს მანქანების ტექნიკური მოვლის წესებს, ურიგდება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდ მოცდენას.

დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმე. სოფლის მეურნეობას მექანიზაციის სკოლების ქსელი ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში აშკარად არასაკმარისია, რის გამო მტს-ები იძულებული არიან ასწავლონ ტრაქტორისტებს, კომბაინერებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკებს მოკლევადიან კურსებზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ამ კადრების მომზადების ჯეროვან ხარისხს.

მეტი წილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები უზრუნველყოფილი არ არის მანქანების სარემონტო სახელოსნოებით, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახი გარაჟებითა და ფარდულებით, აგრეთვე სხვა საწარმოო, სამეურნეო და საცხოვრებელი სადგომებით.

დიდი ნაკლოვანებანია მტს-ების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. მტს-ები სათადარიგო ნაწილებს, ინსტრუმენტებს, ლითონსა და სხვა მასალებს ბევრ შემთხვევაში დროზე და საკმაო რაოდენობით ვერ იღებენ, რაც იწვევს მრავალ სერიოზულ შეფერხებას მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობაში. მტს-ებს არა აქვთ საჭირო ტევადობის საცავები ნავთობპროდუქტების შესანახავად.

სრულიად არასაკმაოდ მიმდინარეობს მოწინავე მტს-ების, სატრაქტორო ბრიგადების, საუკეთესო ტრაქტორისტების, კომბაინერების, მემანქანეებისა და სხვა მექანიზატორების გამოცდილების შესწავლა და გავრცელება.

კოლმეურნეობათა აგრონომიული და ზოოტექნიკური მომსახურების არსებული წესი, რომლის დროსაც სოფლის მეურნეობის ერთი სპეციალისტი რამდენიმე კოლმეურნეობას ემსახურება, სპეციალისტების უპასუხისმგებლობას წარმოშობს და არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ გაზრდილ ამოცანებს. ასეთი მდგომარეობის დროს აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობას სხვა სპეციალისტები ბევრ შემთხვევაში საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები არ არიან და მოწყვეტილი არიან უშუალო მუშაობას აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების კოლმეურნეობებში დანერგვის დარგში.

გაითვალისწინეს რა, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით გადაჭრის, ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის აუცილებელი პირობაა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1953 წლის 7 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, დაადგინეს:

### I.

### მტს-ების მექანიზატორთა მუდმივი კადრების შესახებ

1. მანქანა-ტრაქტორთა პარკის უკეთ გამოყენების, სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გადიდების, კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებით მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების და ამასთან დაკავშირებით მექანიზატორთა მუდმივი კადრებით მტს-ების უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები, ბრიგადირების თანაშემწეები, ექსკავატორების მემანქანეები, ექსკავატორების მემანქანეთა თანაშემწეები და საწვავის აღმრიცხველ-ჩამსხმელები მუდმივი მუშები არიან ისევე, როგორც კომბაინერები, მექანიკოსი კომბაინერები, ბამბის ასაღები მანქანებისა და სელსაგლეჯი, სელსაძენძი და კანაფის ასაღები მანქანების მექანიკოსი მძღოლები და მემანქანეები, ხოლო სასოფლო-სამეურნეო და მიწისსათხრელ მისაბმელ მანქანებზე მომუშავენი და მემანქანეები და კომბაინერთა თანაშემწეები — სეზონური მუშები.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლმეურნეობებში უხეში საკვების დაგროვებისა და ნაწილობრივ ბრიგადირების ბრიგადირებისა, ტრაქტორისტებისა, ექსკავატორების, ბრიგადირების, ბრიგადირების თანაშემწე

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(გაგრძელება)

დამამზადებელ ორგანიზაციებში. სატრაქტორო ბრიგადების მუშათა სურვილისამებრ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებს შეუძლიათ მისცენ მათ ფული მარცვლეულის სახელმწიფო შესასყიდი ფასების მიხედვით.

6. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები დამამზადებელ ორგანოებს ნატურანაზღაურებასთან ერთად აბარებენ სასურსათო კულტურების მარცვლეულს იმ რაოდენობით, რომელიც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს გამომუშავებულ შრომადღეებზე ერგებათ საგარანტიო მინიმუმით, აგრეთვე კომბაინებითა და სხვა მანქანებით მოსავლის აღებაზე მუშაობისათვის.

კოლმეურნეობებს, რომლებსაც სასურსათო მარცვლეული კულტურების ნათესი არა აქვთ ან სასურსათო მარცვლეულ კულტურებს მცირე რაოდენობით თესავენ, შეუძლიათ, ნაცვლად იმისა, რომ დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარონ მარცვლეული, რაც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს საგარანტიო მინიმუმით შრომადღეებზე ერგებათ, მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურის ანგარიშზე შეიტანონ ფული ამ მარცვლეულის ღირებულების მიხედვით სახელმწიფო შესასყიდ ფასებში.

იმ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობაში შრომადღეებზე მარცვლეულის ფაქტიური გაცემა აღემატება საგარანტიო მინიმუმის ოდენობას, კოლმეურნეობა სატრაქტორო ბრიგადების მუდმივ და სეზონურ მუშებს აძლევს სხვაობას შრომადღეზე მარცვლეულის ფაქტიურ გაცემასა და საგარანტიო მინიმუმს შორის. შრომადღეებზე გასანაწილებელ სხვა პროდუქტებს კოლმეურნეობა სატრაქტორო ბრიგადების მუდმივ და სეზონურ მუშებს აძლევს იმავე ოდენობით, როგორც ყველა კოლმეურნეს. ფულადი შემოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეობები უხდიან მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებს შესაბამის თანხებს, რაც უნდა მიეცეს სატრაქტორო ბრიგადების მუდმივ და სეზონურ მუშებს მათ მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე სხვა კოლმეურნეთა თანაბრად.

7. დაწესდეს, რომ მინდვრის სამუშაოების დროს კოლმეურნეობებმა მტს-ებთან დადებული ხელშეკრულებებით უნდა მისცენ სატრაქტორო ბრიგადების მუშებს უფასოდ საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე საჭმელ-სასმელი იმ ფასებში, რომლებსაც კოლმეურნეობის გამგეობა დაწესებს მტს-ის ან სპეციალიზებული სადგურის დირექტორთან შეთანხმებით. პური, რომელიც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს ეძლევათ საზოგადოებრივი კვებისათვის, გამოექვითება მათ მარცვლად შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშის გასწორების დროს.

8. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მისცენ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურების ტრაქტორისტებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუდმივ მუშებს, რომლებსაც ჭოლმეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთები არა აქვთ, აგრეთვე იმათ, ვინც მტს-ების მდებარეობის ადგილას გადასახლდება კოლმეურნეობებიდან, საკარმიდამო ნაკვეთები 0,25 ჰექტარის ოდენობით იმ ფართობის ჩათვლით, რომელიც შენობებს უკავია.

მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების სატრაქტორო ბრიგადების მუშებს საკარმიდამო ნაკვეთები მიეცეთ სახელმწიფო ფონდის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მიწებიდან, საბჭოთა მეურნეობების მიწებიდან, აგრეთვე კოლმეურნეობების თავისუფალი საკარმიდამო ფონდის მიწებიდან კოლმეურნეობათა თანხმობით.

დაეტოვოთ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში მუდმივ სამუშაოზე ჩარიცხულ ტრაქტორისტებსა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშებს, თუ მათი სურვილი იქნება, საკარმიდამო ნაკვეთები კოლმეურნეობებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. დაწესდეს, რომ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარება და პენსიები მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების სატრაქტორო ბრიგადების მუდმივ და სეზონურ მუშებს ენიშნებათ და ეძლევათ ყველა სახეობის ფულადი და ნატურალური ანაზღაურების მიხედვით, რასაც ისინი მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების მეშვეობით იღებენ. ამასთან მარცვლეული უნდა შეფასდეს სახელმწიფო შესასყიდი ფასების მიხედვით.

დახმარებისა და პენსიის ოდენობის განსაზღვრის დროს იანგარიშება ამ დადგენილების გამოსვლამდე მტს-ებში, სპეციალიზებულ სადგურებში, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის მთელი სტაჟი.

მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულმა სადგურებმა სოციალური დაზღვევის შესატანი უნდა გადაიხადონ დაწესებული ტარიფის მიხედვით იმ სახეობათა ხელფასიდან, რომლებიც იანგარიშება დახმარებისა და პენსიის გადახდის დროს.

10. შვებულების დროის ანაზღაურების და გასასვლელი დახმარების მისაცემად სატრაქტორო ბრიგადების მუშათა საშუალო ხელფასის გამოანგარიშება ხდება სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისათვის დაწესებულ საერთო საფუძველზე, ყველა სახეობის ფულადი და ნატურალური ხელფასის გათვალისწინებით, რომლებიც საშუალო ხელფასში შედის დახმარებისა და პენსიის გაცემის დროს.

## II.

## ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცების შესახებ

11. მიჩნეულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების განმტკიცება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას, რომ მტს-ის დირექტორად უნდა ინიშნებოდეს ინჟინერი-მექანიკოსი, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი, რომელსაც საჭირო მომზადება აქვს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში. მტს-ის მთავარი ინჟინრის, მთავარი აგრონომისა და მთავარი ზოოტექნიკოსის თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ მხოლოდ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები.

მტს-ების დირექტორები, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ, მაგრამ პრაქტიკაში თავიანთი საქმე კარგად შეისწავლეს და უნარიანად ხელმძღვანელობენ მტს-ებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ნებართვით დატოვებულ უნდა იქნან თავიანთ თანამდებობებზე და დახმარება გაეწიოთ კვალიფიკაციის ამაღლებაში.

12. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს 1953 წელს მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში შეარჩიონ ინჟინერ-მექანიკოსები და გაგზავნონ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად და სარემონტო სახელოსნოების გამგეებად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებთან შეთანხმებით მომზადოს წინადადებანი მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში სამუშაოდ ინჟინრებისა და ტექნიკოსების გაგზავნის შესახებ განვითარებული მრეწველობის მქონე ოლქებიდან, მხარეებიდან და რესპუბლიკებიდან ინჟინერ-ტექნიკური კადრებით ნაკლებად უზრუნველყოფილ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, და ეს წინადადებანი წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად.

დაწესდეს, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მტს-ებში გაგზავნილი ინჟინრები და ტექნიკოსები დაუბრკოლებლივ უნდა გაათავისუფლონ სამუშაოდან სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა.

13. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს:

ა) 1954-1955 წლებში გადასცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ებში სამუშაოდ 6.500 ინჟინერ-მექანიკოსი, აქედან 1954 წელს — 2.500 ინჟინერი ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვიდან, რომლებიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტებსა და სხვა ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ;

ბ) გაადიდოს სტუდენტთა მიღების კონტინგენტი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტებში და ფაკულტეტებზე და აიყვანოს იგი 1955 წელს 7.500 კაცამდე წელიწადში;

გ) ერთი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სასწავლო-საწარმოო ბაზის გაფართოების შესახებ.

14. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან შეთანხმებით:

ა) მოაწყოს 1953 წელს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტებთან მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების დახელოვნების ორი ინსტიტუტი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსები, წლიურად 1.000 კაცის საერთო კონტინგენტით, დახელოვნების ინსტიტუტებში 6 თვისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე — 3 თვის სწავლების ვადით.

მსმენელთა მიღება მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკების დახელოვნების ინსტიტუტებში და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე 1953 წელს მოხდეს მსმენელთა მიღების იმ საერთო კონტინგენტის ფარგლებში, რომელიც სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის არის დაწესებული;

ბ) მტს-ების იმ დირექტორებისა და მთავარი ინჟინრებისათვის კვალიფიკაციის ამაღლებაში დახმარების გასაწევად, რომლებსაც სპეციალური საშუალო განათლება აქვთ და მთელი რიგი წლების მანძილზე დადებითად გამოიჩინეს თავი მტს-ებში მუშაობით, 1953 წელს მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტთან, ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტთან, ხარკოვის, სარატოვის, მელიტოპოლის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტებთან, ტაშკენტის სოფლის მეურნეობის ირიგაციისა და მექანიზაციის ინსტიტუტთან და ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მოეწყოს სოფლის მეურნეობის ინჟინერ-ტექნიკოსთა მომზადების სპეციალური ფაკულტეტები სწავლების ორი წლის ვადით, ყოველწლიურად 700 კაცის მიღების კონტინგენტით;

გ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ცოდნის ასამაღლებლად მტს-ების დირექტორებისათვის, რომლებსაც უმაღლესი აგრონომიული ან ეკონომიური განათლება აქვთ, 1953 წელს მოეწყოს 6-თვიანი მუდმივმოქმედი კურსები წელიწადში 500 კაცის კონტინგენტით.

15. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წლიდან მოაწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმებში სპეციალური განყოფილებები მტს-ების პრაქტიკოსი მექანიკოსების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სწავლების 2 წლის ვადით, წელიწადში 1.000 კაცის მიღების კონტინგენტით.

დაწესდეს, რომ ტექნიკუმების აღნიშნულ ორწლიან განყოფილებებში ჩაირიცხებიან სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რესპუბლიკური სამინისტროების, სამხარეო და საოლქო სამმართველოების მიერ მივლინებული მტს-ების პრაქტიკოსი მექანიკოსები, რომლებსაც სულ მცირე 7-წლიანი განათლება აქვთ. მექანიკოსებს, რომლებიც ტექნიკუმების 2-წლიან განყოფილებას დაამთავრებენ და გამოსაშვებ გამოცდებს ჩააბარებენ, ეძლევათ დიპლომი ტექნიკოს-მექანიკოსის წოდების მინიჭებით.

16. დაწესდეს სპეციალისტებისათვის, რომლებიც გადაყვანილი არიან სამრეწველო და სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში სამუშაოდ, პენსიების მიცემა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 სექტემბრის № 3.688 ბრძანებით, 55 წლის ასაკის მიღწევისას და 25 წლის საერთო მუშაობის სტაჟისა და მტს-ებში მუშაობის სულ მცირე 5 წლის სტაჟის დროს.

17. გავრცელდეს მტს-ების დირექტორებსა და მათს მოადგილეებზე მტს-ის ადგილმდებარეობის მიუხედავად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილების მე-5 მუხლი ბინების, გათბობისა და განათების უფასოდ მიცემის ნაწილში, აგრეთვე აყვანილ იქნან სათბობით გეგმიან უზრუნველყოფაზე ნაღდ ანგარიშზე მტს-ების მუშები, მოსამსახურეები და სპეციალისტები.

18. შეუნარჩუნდეთ ამ სპეციალისტებს, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში სამუშაოდ გადაყვანილი არიან სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სისტემიდან დირექტორების, მთავარი ინჟინრებისა და სარემონტო სახელოსნოების გამგეების თანამდებობაზე, მუშაობის წინანდელი ადგილის თანამდებობრივი განაკვეთები იმ შემთხვევებში, როცა ეს განაკვეთები უფრო მაღალია, ვიდრე მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში დაწესებული თანამდებობებისათვის, რომლებზეც ისინი ინიშნებიან, აღნიშნულ თანამდებობებზე მუშაობის განმავლობაში.

19. მიეცეთ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სისტემიდან ოგზავნებიან სამუშაოდ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში, ერთდროული დახმარება მათი წინანდელი მუშაობის ადგილის 3 თვის განაკვეთის ოდენობით და ახალ სამუშაოზე მათ გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება წარმოებდეს შრომის კანონთა კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად.

## III.

## სოფლის მეურნეობისათვის მექანიზაციურთა კადრების მომზადების შესახებ

20. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, 1953 წლის 1 ოქტომბრიდან მექანიზაციის სკოლები გადააკეთონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებად იმისათვის, რომ მოამზადონ შემდეგი კადრები:

ა) ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანეები ზეინკლის კვალიფიკაციით დიზელიან ტრაქტორებზე, კომბაინებსა და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სამუშაოდ — სწავლების ვადა ერთი წელიწადი;

ბ) ტრაქტორისტები ზეინკლის კვალიფიკაციით მუხლუხა და თვლიან ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე სამუშაოდ — სწავლების ვადა 6 თვე;

გ) მექანიკოსი-კომბაინერები თვითმავალ და მისაბმელ კომბაინებზე სამუშაოდ და მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში საზეინკლო-სამონტაჟო სამუშაოთა საწარმოებლად — სწავლების ვადა 6 თვე;

დ) სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისა და ბრიგადირის თანაშემწეების გადასამზადებლად ზეინკლისა და მჭედლის კვალიფიკაციით — სწავლების ვადა ერთი წელიწადი.

21. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 1954 წლის 1 იანვრამდე მოაწყონ 250 სახელოსნო სკოლა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ბაზაზე და 1954-1957 წლებში შექმნან სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სულ ცოტა 300 ახალი სასწავლებელი თვითეული 240-270 მოსწავლისათვის, აგრეთვე ააგონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მოქმედი სასწავლებლებისათვის 200 სასწავლო კორპუსი, 315 კორპუსი პრაქტიკული მეცადინეობისათვის და 600 საერთო საცხოვრებელი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა კაპიტალდაბანდებათა წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს სახსრების გამოყოფა ახალი მშენებლობისათვის, შენობების რემონტისა და რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე ახლად მოსაწყობი სასწავლებლებისათვის სასწავლო მოწყობილობისა და სამეურნეო ინვენტარის შესაძენად.

22. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სახელოსნო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის ორგანიზაციის შესახებ.

23. დაწესდეს, რომ ტრაქტორისტი-მემანქანეები, მექანიკოსი-კომბაინერები და ტრაქტორისტები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დამთავრების შემდეგ მოვალენი არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმუშაონ სულ ცოტა ორი წელიწადი და ამ დროის განმავლობაში სამხედრო სამსახურში გასაწვევი ასაკის პირნი თავისუფლდებიან გაწვევისაგან.

24. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სამინისტროთა და უწყებათა სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მუშათა განაწილების გეგმებში, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საწარმოებში და მშენებლობებზე საჭირო რაოდენობით გაიგზავნონ ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, აგრეთვე მშენებელი მუშები.

25. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებზე გავრცელდეს ტანისამოსით, ფეხსაცმლით, თეთრეულითა და ლოგინით მოსწავლეთა უზრუნველყოფის წესი და ნორმები, რაც დადგენილია სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელთა მოსწავლეების კვება უნდა ხდებოდეს იმ ნორმების მიხედვით, რაც მთავრობის მიერ დაწესებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სპეციალურ სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის.

26. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს 1954-1955 წლებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის, ნორმატივების გადამეტებით, დამატებითი ასიგნობანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებელთა შენობების კაპიტალური რემონტისათვის 70 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის 1954 წელს — 40 მილიონი მანეთი.

27. გავრცელდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებზე ტიპური მტატები, ხელოვნ. ბ. ხასწავლებელთა მუშაკებზე — ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები, შეღავათები და პრემიის დებულებანი, რაც დაწესებულია შესაბამისად სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს შრომის რეზერვების სისტემის სასწავლებლებისა და მათი მუშაკებისათვის.

## IV.

## მტს-ებში მშენებლობისა და სარემონტო ბაზის განმტკიცების შესახებ

28. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ, რომ 1953-1956 წლებში თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან და სპეციალიზებულ სადგურთან შეიქმნას სარემონტო ბაზა მტს-ებისა და კოლმეურნეობების კუთვნილი ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო, მიწისსათხრელი და სპეციალური მანქანების, აგრეთვე მტს-ებისა და კოლმეურნეობების ავტომობილების შესაკეთებლად.

მიჩნეულ იქნას საჭიროდ, რომ თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურს, როგორც წესი, ჰქონდეს ტიპური სარემონტო სახელოსნო, სულ ცოტა ორი-სამი გარაჟი ტრაქტორების შესანახად, ორი-სამი ფარდული კომბაინების შესანახად, საჭირო რაოდენობით ფარდულები და ბეტონის ღია მოედნები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად, ნავთობის ბაზა, ავტოგარაჟი, სათადარიგო ნაწილების საწყობი, კანტორა, აბანო, მუშათა საერთო საცხოვრებელი, საჭირო რაოდენობით საცხოვრებელი სახლები, წყალმომარაგება და უმარტივესი კანალიზაცია.

დაწესდეს, რომ 1954 წლიდან ახლადშექმნილი მტს-ების აღჭურვა ტრაქტორებით, მანქანებითა და მოწყობილობით და მათი ამუშავება ხდება მტს-ის საწარმოო და სხვა შენობათა მშენებლობის დამთავრების შემდეგ ტიპური პროექტის შესაბამისად.

29. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ, რომ 1953 წელს დამთავრდეს მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 673 სახელოსნო, 1.130 ფარდული და 81.200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, და დაიწყოს დამატებით 500 ახალი სახელოსნოს მშენებლობა მტს-ებში.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წელს ახალი სახელოსნოების მშენებლობაზე დამატებით დახარჯოს 75 მილიონი მანეთი;

ბ) ააგონ და გადასცენ საექსპლოატაციოდ 1954-1956 წლებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში 4.200 სარემონტო სახელოსნო, 8.400 გარაჟი ტრაქტორების შესანახად, 8.400 ფარდული კომბაინების შესანახად, 15.000 ფარდული და 15.000 ბეტონის ღია ბაქანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად, 2.880 ნავთობბაზა, 3.600 ავტოგარაჟი, 3.600 საწყობი სათადარიგო ნაწილებისათვის, 10.800 საცხოვრებელი სახლი, 3.000 საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე მოაწყონ მტს-ებში წყალმომარაგება, უმარტივესი კანალიზაცია და აამშენონ სხვა ნაგებობანი და ობიექტები.

30. დამტკიცდეს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების სარემონტო სახელოსნოებს მოწყობილობის ტაბელი.

31. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ყოველწლიურად გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში სახსრებისა და მასალების გამოყოფა მტს-ების საწარმოო და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის, დაწესებული გეგმის შესაბამისად, აგრეთვე იმ სარემონტო სახელოსნოების საძირკვლების ჩასაყრელად, რომლებიც შემდგომ წელს უნდა აშენდეს.

32. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს გამოეყოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სარემონტო სახელოსნოების, გარაჟების, ფარდულების, ნავთობბაზების, საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა შენობებისა და ნაგებობათა მშენებლობისათვის 1954 წელს — 3.256 მილიონი მანეთი, 1955 წელს — 3.504 მილიონი მანეთი და 1956 წელს — 3.752 მილიონი მანეთი.

33. იმ მიზნით, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს დახმარება გაეწიოთ სარემონტო ბაზის მოწყობაში, დაევალოს სამშენებლო და სამრეწველო სამინისტროებსა და უწყებებს ააშენონ მტს-ებში 2.000 სარემონტო სახელოსნო, 4.000 გარაჟი ტრაქტორებისათვის, 4.000 ფარდული კომბაინებისათვის, 4.000 საცხოვრებელი სახლი, 2.000 საერთო საცხოვრებელი და სხვა ობიექტები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად შეიტანოს სამინისტროებისა და უწყებების საინჟინრო სამუშაოთა გეგმაში, რომ აამშენონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღნიშნული ობიექტები, მათ შორის 1954 წელს 600 სარემონტო სახელოსნო, 1.200 გარაჟი ტრაქტორებისათვის, 1.200 ფარდული კომბაინებისათვის, 1.200 საცხოვრებელი სახლი, 600 საერთო საცხოვრებელი; 1955 და 1956 წლებში ყოველწლიურად ააშენონ 700 სარემონტო სახელოსნო, 1.400 გარაჟი ტრაქტორებისათვის, 1.400 ფარდული კომბაინებისათვის, 1.400 საცხოვრებელი სახლი, 700 საერთო საცხოვრებელი და სხვა ობიექტები.

შეუნარჩუნდეთ 1954-1955 წლებში სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან მშენებლობაზე მტს-ებში, შეღავათები და უპირატესობანი შრომის ანაზღაურების პირობების, კოეფიციენტური წანამატების, გამომუშავებისა და შეფასების ნორმების მხრივ და სხვა შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც მთავრობის დადგენილებებით დაწესებულია მათთვის მშენებლობებზე, სადაც ისინი წინათ მუშაობდნენ.

34. დაევალოს სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს 100 ცხენძალის სიმძლავრის ორთქლსართმევი ორთქლის ძალის დანადგართა წარმოება, რომლებიც მაგარი სათბობით (შუშა, ქვანახშირი, ტორფი) მუშაობენ, ელექტროგენერატორებთან და განმანაწილებელ ფარებთან კომპლექტურად; ამასთან მხედველობაში იქონიოს ამ დანადგარების გამოშვება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის მიწოდება 1954 წელს 1.000 ცალის და 1955 წელს — 3.000 ცალის რაოდენობით.

უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს გამოიყენოს როგორც პირველადი ძრავები 100 ცხენძალამდე საერთო სიმძლავრის დიზელები მტს-ების ელექტროსადგურებში, სანამ მტს-ების სახელოსნოები სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნებიან ორთქლის ძალის დანადგარებით, აგრეთვე რკინიგზებს დაშორებულ მტს-ებში, როცა არა აქვთ ადგილობრივი სახეობის სათბობი.

35. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს შეიძინოს ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების მიერ წარმოებული აგური და კირი საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული ფასებით და შეიტანოს ამ საშენი მასალის ღირებულება მტს-ების მშენებლობის საორიენტაციო-საფინანსო გაანგარიშებაში, აგრეთვე გამოიყენოს უტყეო რაიონებში სარემონტო სახელოსნოებისა და გარაჟების ასაგებად ნაკრები რკინაბეტონი.

36. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ 1954-1956 წლებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ფართოდ განვითარება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ:

ა) გაითვალისწინონ 1954-1956 წლებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ყოველწლიურად 450 მილიონი მანეთი კრედიტის გამოყოფა და მისცენ მტს-ების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს სესხი 12 ათას მანეთამდე, დაფარვის 10 წლის ვადით, დაწყებული სესხის მიღების შემდეგ მესამე წლიდან;

ბ) გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო და საოლქო აღმასკომებისათვის საშენი მასალების გამოყოფა მტს-ების მუშაკებისათვის ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში დახმარების გასაწევად.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭომ, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა დახმარება გაუწიონ ინდივიდუალურ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა ...

(გაგრძელება)

ბინათმშენებლებს საშენი მასალების გადაზიდვაში, სამრეწველო საწარმოებში სადურგლო და კავეულის ნაკეთობის დამზადებაში, აგრეთვე მისცენ ადგილობრივი წარმოების ხარჯზე აგური, კირი და სხვა არაფონდირებული მასალა.

37. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს 1954-1956 წლებში დაამზადონ და მიაწოდონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მტს-ების მშენებლობაში ჩაბმულ სამინისტროებსა და უწყებებს ხის ფერმების დეტალები, ფანჯრისა და კარის ბლოკები და ჭიშკრის ფრთები სარემონტო სახელოსნოების, გარაჟებისა და ფარდულების მშენებლობისათვის, აგრეთვე ხის ასაწყობი ორბინიანი და სამბინიანი სახლები მტს-ებისათვის.

38. დაევალოს სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადონ თავიანთ საწარმოებში და მიაწოდონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მისი განაცხადების მიხედვით სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა, ორთქლისა და წყლის არმატურა, ფიტინგი, კავეულის ნაკეთობა, ვენტილატორები, დეფლექტორები მტს-ების სახელოსნოების, საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის.

39. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს 1954-1956 წლების გეგმებში, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო კანტორების, ტრესტებისა და მტს-ების დასაკომპლექტებლად გაეგზავნოს 480 მშენებელი ინჟინერი და 6.000 მშენებელი ტექნიკოსი, მათ შორის: 1954 წელს — 200 ინჟინერი და 1.500 ტექნიკოსი, 1955 წელს — 280 ინჟინერი და 2.000 ტექნიკოსი და 1956 წელს — 2.500 ტექნიკოსი.

40. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის სახელოსნოების, გარაჟების, ფარდულებისა და საცხოვრებელი ფონდის შეკეთებაში დახმარების გაწევის მიზნით:

ა) დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს 1954 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის მტს-ებში შენობებისა და ნაგებობათა შესაკეთებლად 7.000 ათასი ცალი ფილი შიფერის, 720 ათასი კვადრატული მეტრი რბილი სახურავის, 220 ათასი კუბური მეტრი დასაწერხი ხე-ტყისა და 100 ათასი კვადრატული მეტრი ფანჯრის მინის გამოყოფა;

ბ) დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს დაფინანსოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის კაპიტალური შეკეთების კვარტალურ დავალებებს, კვარტალურ ასიგნობათა დამატებით დაფინანსების წლიური გეგმის ფარგლებში;

გ) დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს, 1954 წლიდან დაწყებული, საკავშირო ბიუჯეტით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის ასიგნობათა გამოყოფა მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის კაპიტალური რემონტისათვის შენობათა, ნაგებობათა და მოწყობილობის საბალანსო ღირებულების 4,5 პროცენტის ოდენობით და ამ მიზნით 1953 წლისათვის მისცეს მას დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად დამატებით 200 მილიონი მანეთი.

41. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) მიიღონ ზომები, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს სარემონტო ქარხნებისა და კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოების მუშაობა. უზრუნველყონ ტრაქტორის, კომბაინის ძრავებისა და სხვა ძრავების, აგრეთვე ავტომობილებისა და ლითონსაჭრელი ჩარხების რემონტის მნიშვნელოვნად გადიდება სარემონტო საწარმოთა არსებული საწარმოო სიმძლავრეების სრული გამოყენების, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და ახალ საწარმოთა ამუშავების გზით;

ბ) ააშენონ 1954-1956 წლებში 9 სარემონტო ქარხანა და 6 კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნო, დაამთავრონ დაწყებული მშენებლობა და 1954-1955 წლებში აამუშაონ 36 სარემონტო ქარხანა და 15 კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნო;

გ) მოახდინონ 1954-1955 წლებში 41 სარემონტო ქარხნისა და 125 კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოს გაფართოება და რეკონსტრუქცია დიზელის ტრაქტორების, ავტომობილების ძრავებისა და ჩარხის მოწყობილობის რემონტის გასადიდებლად.

42. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში სახსრები ახალი სარემონტო საწარმოების მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქციისათვის: 1954 წელს 350 მილიონი მანეთი და 1955 წელს 500 მილიონი მანეთი, აგრეთვე მოწყობილობისა და მასალების ფონდები.

43. 1953 წლის 1 ოქტომბრიდან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ყველა სარემონტო საწარმო გადაყვანილ იქნას საკავშირო ბიუჯეტის ხარჯით დაფინანსებაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა საკავშირო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებაზე გადაყვანი სარემონტო საწარმოების საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობა შეავსონ 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის დაწესებულ ნორმატივამდე.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტის შესრულების წესით სათანადო ცვლილებები შეიტანოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1953 წლის შემოსავლისა და გასავლის ბალანსში და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

44. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1954-1955 წლების განმავლობაში სარემონტო საწარმოების შენობათა და ნაგებობათა ყველა საამორტიზაციო ანარიცხი მოახმაროს ამ საწარმოთა საწარმოო და სასამსახურო შენობების კაპიტალურ რემონტს.

## V.

## მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

45. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს მიიღონ ღონისძიებანი მტს-ებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენებისა და სატრაქტორო ბრიგადებში შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის; უზრუნველყონ ყველა ტრაქტორისტის, კომბაინერისა და მემანქანის მიერ გამომუშავების ცვლის ნორმების შესრულება, სწორად მოაწყონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მოვლა და არ დაუშვან მათი მოცდენა.

46. სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებისათვის სათანადო საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ყველა მტს-ში მოეწყოს საველე მუდმივი ბანაკები თვითეული სატრაქტორო ბრიგადისათვის. ამასთან დაკავშირებით:

ა) რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს 1953 წლის დამლევამდე გამოუყონ სატრაქტორო ბრიგადებს მიწის მუდმივი ნაკვეთები საველე ბანაკების მოსაწყობად, თესლბრუნვის მინდვრების განლაგების გათვალისწინებით; შეძლებისამებრ გაითვალისწინონ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადების ბანაკების ერთ ნაკვეთზე მოთავსება;

ბ) დაევალოს მტს-ების დირექტორებს 1954 წლის მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე სატრაქტორო ბრიგადების ძალებით შემოღობონ საველე ბანაკები, მოაწყონ მანქანების სადგომი მოედნები და ნავთობსაცავები;

გ) დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 და 1955 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინონ, რომ საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში დამზადდეს და მტს-ებს გადაეცეს სატრაქტორო ბრიგადების მუშების საცხოვრებლად მოწყობილი 80 ათასი საველე ვაგონეტი. მტს-ებმა საველე ვაგონეტების ღირებულება გადაიხადონ კაპიტალდაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან;

დ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს 1954-1955 წლებში სატრაქტორო ბრიგადების საველე ბანაკებში ააგონ საერთო საცხოვრებლები, ფარდულები მანქანების შენახვისა და მათი ტექნიკური მოვლისათვის, საველე სამზარეულოები და საწვავისა და საცხები მასალების მუდმივი საცავები.

47. სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რთული ტექნიკური მოვლა და რემონტი მინდვრის სამუშაოთა პერიოდში განახორციელოს ავტომოძრავი სახელოსნოების ძალებით და რემონტის მუშების სპეციალური ბრიგადებით, მუშებისა, რომლებიც მტს-ების მუდმივი მუშაკები არიან. დაევალოთ ტრაქტორისტებს დამოუკიდებლად განახორციელონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ყოველთვიური და არაერთეული პერიოდული ტექნიკური მოვლა.

48. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1954-1955 წლებში უზრუნველყოს თავის ქარხნებში 18.000 ავტომოძრავი სახელოსნოს დამზადება, რაც საჭიროა სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურებისათვის, აქედან 1954 წელს — 8.000 და 1955 წელს — 10.000 ავტომოძრავი სახელოსნოსი.

49. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ, 1954 წლიდან დაწყებული, ყველა მტს-ში სადისპეტჩერო სამსახურის მოწყობა რადიოსადგურებისა და სატელეფონო კავშირგაბმულობის გამოყენებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1954-1955 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს 45.000 რადიოსადგურ „ურალეის“ დამზადება და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის გადაცემა, აქედან 1954 წელს — 20.000 რადიოსადგურისა, აგრეთვე საჭირო რაოდენობით აკუმულატორების, საკონტროლო-საზომი აპარატურის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მოწყობილობისა და მასალების გამოყოფა რადიოსადგურების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

50. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი პერიოდის მანძილზე მანქანა-ტრაქტორთა პარკის წესივრული და მუშაობისუნარიანი მდგომარეობა, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) 1954-1955 წლებში თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან აგრეგატებისა და ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კვანძების საცვლელი ფონდი სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურების საჭიროებისათვის.

აღნიშნული საცვლელი ფონდი ამავე დროს იქმნება სათადარიგო ნაწილების ხარჯვის დაწესებული ნორმების გადამეტებით;

ბ) 1954-1955 წლებში დაამთავრონ სარემონტო ქარხნებში, კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოებსა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში ტრაქტორებისა და ავტომობილების აგრეგატებისა და კვანძების საცვლელი ფონდის შექმნა თვითეულ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში არსებული მანქანების პარკის 10 პროცენტის რაოდენობით სარემონტოდ სათადარიგო ნაწილების ხარჯვის ნორმების გადამეტებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1954-1955 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინოს წარმოება და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსათვის გადაცემა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების საცვლელი ფონდის აგრეგატებისა და კვანძებისა მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო საწარმოებისათვის სათადარიგო ნაწილების დაწესებული მუდმივი ნორმატიული მარაგისა და ხარჯვის ნორმების გადამეტებით.

გაითვალისწინოს, რომ დამზადდეს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სარემონტო საწარმოებს გადაეცეს:

| | (ცალობით) 1954 წ. | 1955 წ. |
|---|---|---|
| დტ-54, ს-80, კდ-35 და „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორების ძრავები | 6500 | 14500 |
| დიზელიანი ტრაქტორების ასამუშავებელი ძრავები | 7000 | 9500 |
| სათბობის ფრქვევანიანი ტუმბოები ტრაქტორებისათვის | 6000 | 10500 |

51. მანქანა-ტრაქტორთა პარკის შენახვისათვის მტს-ების პასუხისმგებლობის გადიდებისა და შესასრულებელ სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დროზე დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, 1954 წლიდან დაწყებული, ტრაქტორების, კომბაინების, ძრავების, მიწისსათხრელი და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ტექნიკური მოვლის ხარჯების მოცულობა გამოიანგარიშოს რბილ ხვნაზე გადაყვანით ერთი ჰექტარი სამუშაოების ანარიცხების ნორმებისა და მანქანათა მუშაობის სარემონტთაშორისო ვადების მიხედვით.

52. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს:

ა) დაამტკიცონ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობის დიფერენცირებული სარემონტთაშორისო ვადები რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით სსრ კავშირის საშუალო სარემონტთაშორისო ვადების ფარგლებში;

ბ) დაამტკიცონ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მიწისსათხრელი მანქანების, თვითმავალი სათიბი მანქანებისა და სხვა მანქანების მუშაობის საშუალო სარემონტთაშორისო ვადები.

53. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 2 თვის ვადაში დაამტკიცონ ტრაქტორებისა და კომბაინების მუშაობის რემონტთაშორისი ვადები ცალკეული მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით იმ საშუალო რემონტთაშორისი ვადების ფარგლებში, რომლებსაც აწესებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის.

54. იმ მიზნით, რომ შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, განზოგადდეს და დაინერგოს მოწინავე გამოცდილება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და გამოყენების დარგში, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროში მოეწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების რემონტისა და ექსპლოატაციის ლაბორატორიებისა და პეროვოს მექანიკური ქარხნის ბაზაზე ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ექსპლოატაციის სახელმწიფო საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელთანაც გაიხსნას საცდელი ქარხანა, და ამ ინსტიტუტს დაეკისროს:

ა) შეიმუშაოს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურებისათვის, კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნებისათვის ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური მანქანების, სტაციონარული ძრავებისა და ჩარხის მოწყობილობის რემონტის ორგანიზაციის მეთოდები და ტიპური ტექნოლოგია;

ბ) შექმნას ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ტექნიკური მომსახურებისათვის მოწყობილობა, ხელსაწყოები და სამარჯვები;

გ) შეიმუშაოს ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო და სპეციალური მანქანების, ჩარხისა და ძალდანადგართა მოწყობილობის ტექნიკური ექსპლოატაციისა და ტექნიკური მოვლის წესები;

დ) შეიმუშაოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტსა და ექსპლოატაციაზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის, სათადარიგო ნაწილების, ლითონისა და სარემონტო მასალების ხარჯვის ნორმირების ღონისძიებანი;

ე) განაზოგადოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ექსპლოატაციის მოწინავე გამოცდილება და გამოსცეს რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ტექნიკური დოკუმენტაცია.

55. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ექსპლოატაციის სახელმწიფო საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ტექნოლოგიური ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურა და შტატი 215 ერთეულის რაოდენობით.

გავრცელდეს აღნიშნული ინსტიტუტის სპეციალისტებზე, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი ან წოდება აქვთ, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1946 წლის 6 მარტის № 514 დადგენილებით დაწესებული ხელფასის განაკვეთები. ინსტიტუტის დანარჩენი სპეციალისტებისათვის დაწესდეს ხელფასის განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ჯგუფის წამყვანი საპროექტო ორგანიზაციების მუშაკებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 31 აგვისტოს № 3757 დადგენილებით.

## VI.

## კოლმეურნეობებისათვის აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარების გაძლიერების შესახებ

56. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით დაეკისროს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებს კოლმეურნეობების აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება, რისთვისაც:

ა) საუბნო აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების ნაცვლად მტს-ების შტატებში იყოლიონ აგრონომები და ზოოტექნიკოსები კოლმეურნეობებში მუდმივი მუშაობისათვის, რათა ყოველ კოლმეურნეობას მუდამ უწევდეს მომსახურებას სოფლის მეურნეობის ერთიორი სპეციალისტი. ცალკეული ყველაზე დიდი კოლმეურნეობის მომსახურებისათვის დაშვებულ იქნას მტს-ების შტატებში თითო სპეციალისტის შენახვა ბრიგადისა და ფერმისათვის;

ბ) დამტკიცებული წესით გადაყვანილ იქნას აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული პერსონალი სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოებიდან მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში;

გ) გაუქმდეს აგრონომების თანამდებობა შაქრის ქარხნებში, საკონსერვო ქარხნებში და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სხვა საწარმოებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ კოლმეურნეობებს, და ეს სპეციალისტები დამტკიცებული წესით მტს-ებში გაგზავნონ კოლმეურნეობებში სამუშაოდ;

დ) დამტკიცებული წესით მტს-ების შტატებში გადაიყვანონ რაიონულ მეთესლეობის მეურნეობათა და ბალახეების დარგში სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობათა აგრონომები და, მეთესლეობაში მუშაობასთან ერთად, დააკისრონ მათ სხვა მოვალეობათა შესრულება კოლმეურნეობების აგრონომიული მომსახურების დარგში;

ე) გადაეცეს მტს-ებს სარაიონო საკონტროლო სათესლე ლაბორატორიები მოწყობილობით, აგრეთვე დამტკიცებული წესით გადაყვანილ იქნან მტს-ებში ამ ლაბორატორიების სპეციალისტები;

ვ) მტს-ების შტატებში ზოოვეტუბნებისა და ზოოვეტპუნქტების ზოოტექნიკოსთა შეყვანასთან დაკავშირებით რეორგანიზებულ იქნას ზოოვეტუბნები და ზოოვეტპუნქტები ვეტერინარულ უბნებად და ვეტერინარულ პუნქტებად და დაუქვემდებარდეს ისინი მტს-ებს.

დაწესდეს, რომ ერთ-ერთი ვეტერინარი ექიმი — მტს-ის მოქმედების ზონის ვეტერინარული უბნის გამგე მტს-ის უფროსი ვეტერინარი ექიმია.

მოეწყოს ცენტრალური ზოოვეტუბნების ბაზაზე რაიონული ვეტერინარული სამკურნალოები და მათი დაფინანსება დატოვებულ იქნას რაიონული ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე. დაწესდეს, რომ რაიონული ვეტერინარული სამკურნალოს გამგე ამავე დროს რაიონის მთავარი ვეტერინარი ექიმია.

57. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს 1954 წლის გაზაფხულისათვის მტს-ებში გაგზავნონ 100 ათასი აგრონომი და ზოოტექნიკოსი კოლმეურნეობების მომსახურებისათვის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე იმ აგრონომთა და ზოოტექნიკოსთა რიცხვიდან, რომლებიც განთავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო სამინისტროებისა და მათი აგდილობრივი ორგანოების რეორგანიზაციის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში უბნის აგრონომების ქსელისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოების უბნის ზოოტექნიკოსებისა და აგრონომების ქსელის გაუქმების შედეგად, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოებიდან აგრონომიული და ზოოტექნიკური პერსონალის მტს-ებში გადაყვანის, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტთა რაოდენობის შემცირების შედეგად, აგრეთვე იმ ახალგაზრდა სპეციალისტებიდან, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს ამთავრებენ.

58. დაეკისროს კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილ მტს-ების აგრონომებსა და ზოოტექნიკოსებს პასუხისმგებლობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიერ კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა შესრულებისათვის, კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულებისათვის და საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის სწორი ორგანიზაციისათვის.

დაწესდეს, რომ აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების მითითებანი აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა დარგში, შრომის ორგანიზაციის საკითხებზე და მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიცემულ უნდა იქნას კოლმეურნეობათა გამგეობების ან თავმჯდომარეების მეშვეობით.

59. მტს-ებისა და კოლმეურნეობების მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით დაეკისროთ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების მთავარ აგრონომებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის კონტროლის დარგში სახელმწიფო ინსპექტორების მოვალეობა.

დაწესდეს, რომ მთავარი აგრონომის მითითებანი და განკარგულებანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხისა და აგროტექნიკის საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად და მათი გაუქმება შეუძლიათ მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა საოლქო, სამხარეო სამმართველოებს და რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროებს.

მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების მთავარ აგრონომებს სამუშაოზე ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა საოლქო, სამხარეო სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი.

60. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულებანი კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნილ მტს-ების აგრონომთა და ზოოტექნიკოსთა შესახებ, მტს-ების მთავარ აგრონომთა და მთავარ ზოოტექნიკოსთა შესახებ, დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნულ მუშაკთა უფლება-მოვალეობას.

61. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში გაგზავნილი აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების, აგრეთვე მტს-ების შტატებში გადაყვანილი რაიონულ მეთესლეობის მეურნეობათა აგრონომების ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები წესდება მტს-ების უბნის აგრონომთა მოქმედი ხელფასის დონეზე შესაბამისი წანამატებით სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟისათვის.

მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსის ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი დაწესდეს მტს-ის მთავარი აგრონომის ხელფასის დონეზე, ხოლო მტს-ის უფროსი ვეტერინარი ექიმის ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთი — მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსის განაკვეთზე 10 პროცენტით ნაკლები, ამასთან დაეტოვოთ მათ შესაბამისი წანამატი სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟისათვის.

62. კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ გაგზავნილ მტს-ების აგრონომთა და ზოოტექნიკოსთა წახალისების მიზნით, რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს წლის ბოლოს, კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, დაერიცხოთ აღნიშნულ სპეციალისტებს, რომლებმაც თავიანთი მუშაობით უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაწესებული გეგმების შესრულება, შრომადღეები იმ შრომადღეების რაოდენობის 10-20 პროცენტის ოდენობით, რაც მოცემული კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წელიწადში დაერიცხა.

63. დაევალოს იმ სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საიდანაც უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე აგრონომები და ზოოტექნიკოსები იგზავნებიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სპეციალისტთა თანამდებობაზე კოლმეურნეობებში სამუშაოდ, აღნიშნულ სპეციალისტთა გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები აანაზღაურონ ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრებით, შრომის კანონთა კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად და, გარდა ამისა, ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გადაყვანის შემთხვევაში ერთდროული გასასვლელი დახმარება მისცენ მათი სამი თვის ხელფასის ოდენობით.

64. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად 2 თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინოს წინადადებანი კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და სხვა მაჩვენებლებისათვის კოლმეურნეობებში მომუშავე მტს-ების აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების, აგრეთვე ვეტერინარი მუშაკების პრემირების შესახებ.

65. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მისცენ კოლმეურნეობებში მომუშავე მტს-ების აგრონომებსა და ზოოტექნიკოსებს საცხოვრებელი სახლები და ეზოს სამეურნეო ნაგებობანი, გამოუყონ საკარმიდამო ნაკვეთები დაწესებული ნორმების მიხედვით, გაუწიონ დახმარება საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში და უფასოდ მისცენ სატრანსპორტო საშუალებანი.

66. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მისცეს კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კრედიტი კოლმეურნეობებში მომუშავე მტს-ების აგრონომებისა და ზოოტექნიკოსებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საცხოვრებელ სახლზე 10 ათასამდე მანეთის ოდენობით, დაფარვის 10 წლის ვადით, დაწყებული მესამე წლიდან კრედიტის მიღების შემდეგ.

67. დაწესდეს, რომ იმ რაიონებში, რომლებშიც კოლმეურნეობებს მომსახურებას არ უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რჩება კოლმეურნეობათა აგრონომიული, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების არსებული წესი. სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა რაიონული სამმართველოებისა და მათი ზოოვეტერინარული ქსელის შტატები, აგრეთვე აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტმუშაკების ხელფასის ანაზღაურების წესი.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

## VII.

## სოფლის მეურნეობის მაგვრიალიზაციისა-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ

68. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი ტრაქტორებით შემდგომი აღჭურვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციის გაფართოების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსა და საავიაციო მრეწველობის სამინისტროს გათვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში, რომ სოფლის მეურნეობას მიაწოდონ საერთო დანიშნულების სულ ცოტა 500 ათასი ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით და 250 ათასი ფიზიკური სათოხნი ტრაქტორი 1954 წლიდან 1957 წლის 1 მაისამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ორი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების გეგმის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონონ, რომ მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები 1954-1955 წლებში უზრუნველყოფილ იქნან საჭირო რაოდენობის მისაბმელი, საკიდი და თვითმავალი მანქანებით ისეთ სამუშაოთა კომპლექსის შესასრულებლად, როგორიც არის: მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოყვანა, წამჯისა და ნახორის აღება და აზვინვა, კალოს სამუშაოთა, მარცვლის ხმობის, თიბვის, თივის მოგროვების, დაბულულებისა და აზვინვის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფისა და ბამბის მოყვანის სამუშაოთა მექანიზაცია, სატრანსპორტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მესასრულებლად და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა პროცესების მექანიზაციისათვის.

69. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში გაითვალისწინოს, რომ გამოეყოს:

ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მთელი საჭიროებისათვის 50 ათასი სატვირთო ავტომანქანა, თვითსაცლელი და შასი, 12 ათასი მსუბუქი ავტომობილი გაზ-69 (მათ შორის სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსათვის 1.500 ავტომობილი), 4 ათასი ეტლიანი მოტოციკლი, 4.600 ლითონსაჭრელი ჩარხი, 175 ჰიდრავლიკური წნეხი, 3.000 ელექტრომოტორი, 1.000 ელექტროშემდუღებელი აგრეგატი და ჟანგბადის 15.000 ბალონი, აგრეთვე სხვა მოწყობილობა მტს-ების სახელოსნოებისა და სარემონტო საწარმოების აღსაჭურველად;

ბ) ცენტროსოიუზს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად — 60.000 სატვირთო ავტომობილი.

70. დაევალოს მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1954 და 1955 წლებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაამზადონ 50, 25, და 10 კუბური მეტრი ტევადობის სტაციონარული რეზერვუარები, 3 და 5 კუბური მეტრი ტევადობის ცისტერნები და 200 ლიტრი ტევადობის რკინის კასრები შემდეგი რაოდენობით:

| | სულ | მათ შორის 1954 წ. | 1955 წ. |
|---|---|---|---|
| **მშენებლობის სამინისტრომ** | | | |
| სტაციონარული რეზერვუარები (ათასობით კუბმეტრი) | 1510 | 600 | 910 |
| **სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ** | | | |
| სტაციონარული რეზერვუარები (ათასობით კუბმეტრი) | 465 | 235 | 230 |
| ცისტერნები (ათასობით კუბმეტრი) | 192 | 97 | 95 |
| რკინის კასრები (ათასობით ცალი) | 410 | 210 | 200 |
| **სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ** | | | |
| სტაციონარული რეზერვუარები (ათასობით კუბმეტრი) | 35 | 15 | 20 |
| ცისტერნები (ათასობით კუბმეტრი) | 8 | 3 | 5 |
| რკინის კასრები (ათასობით ცალი) | 90 | 40 | 50 |

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი 1954 და 1955 წლებში ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სტაციონარული რეზერვუარების, ცისტერნების, რკინის კასრებისა და ბიდონების დამზადების შესახებ.

71. დაწესდეს 1954-1955 წლებში სოფლის მეურნეობისათვის მოწყობილობისა და საწვავჩასასხმელ საშუალებათა მიწოდების გეგმა შემდეგი ოდენობით:

| | სულ | აქედან 1954 წელს | 1955 წელს |
|---|---|---|---|
| | (ათას ცალობით) | | |
| ზის-150 შასიანი ავტოცისტერნი | 5 | 3 | 2 |
| გაზ-51 შასიანი საწვავავტოჩასასხმელი | 15 | 5 | 10 |
| საწვავჩასასხმელი ურიკა ტუმბოს და შლანგის კომპლექტით | 60 | 30 | 30 |
| ხელის ტუმბო შლანგით | 48 | 24 | 24 |

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1954-1955 წლების საწარმოო გეგმებში აღნიშნული რაოდენობით საწვავჩასასხმელ საშუალებათა წარმოება საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში.

72. დაევალოს ნავთობის მრეწველობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს „გლავნეფტესბიტის“ ყველა ნავთობბაზაში საწვავი და საცხები მასალების შეზიდვა სახეობათა და ხარისხთა მიხედვით სახელმწიფო საკავშირო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, და მათი მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის;

ბ) დადგენილ იქნას წესი, რომლის მიხედვით „გლავნეფტესბიტის“ ბაზები ვალდებული არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს საცხები მასალების მიცემასთან ერთად მისცენ მათ „ასფო“-ს ფილტრები ნორმებით კუთვნილი რაოდენობით. მიღებულ იქნას ზომები, რომ „გლავნეფტესბიტის“ ნავთობის ბაზებში შეზიდულ იქნას „ასფო“-ს ფილტრები ისეთი რაოდენობით, რაც შესაძლებელს გახდის მათს დროულად შეცვლას ტრაქტორებზე დაწესებული პერიოდულობის შესაბამისად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში ნავთობის მრეწველობის სამინისტროსათვის „ასფო“-ს ფილტრების წარმოებისათვის მუყაოს და სხვა მასალების გამოყოფა.

73. დაევალოს ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მოაწყოს, დაწყებული 1954 წლიდან, ნახმარი ზეთების რეგენერაცია თავის საწარმოებში სოფლის მეურნეობისათვის.

ამასთან დაკავშირებით, დაწყებული 1955 წლიდან, განთავისუფლებულ იქნან მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები ნახმარი ზეთების რეგენერაციისაგან.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ნავთობის მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი იმის შესახებ, რომ ნავთობის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მოეწყოს ნახმარი ზეთების რეგენერაცია და გადამუშავება.

74. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მანქანათმშენებლობის სამინისტროს გადასინჯონ ახალი მანქანების დაკვეთების მიცემისა და მათი გამოცდის არსებული წესი იმ ვარაუდით, რომ დაჩქარდეს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დანერგვა წარმოებაში.

75. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1954 წლიდან გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების წარმოება და მიწოდება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა მათზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, დეტალების მთელი ნომენკლატურის დამტკიცებული ნორმების სრული შესაბამისობით, მომხმარებლებთან და გასაღების კანტორებში დაწესებული გარდამავალი ნაშთების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სატრანსპორტო და მძიმე-მანქანათმშენებლობის სამინისტრომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სათადარიგო ნაწილების ხარისხის გაუმჯობესებისა და ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების გასაყიდი ფასების შემცირების შესახებ.

76. დამტკიცდეს მექანიზატორთა მუდმივი კადრებით მტს-ების უზრუნველყოფის, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით მტს-ების განმტკიცების, კადრების მომზადების გაუმჯობესების, მტს-ებში მშენებლობის ორგანიზაციისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

77. დამტკიცდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტიპური შტატები.

78. დაწესდეს, რომ მტს-ებისა და კოლმეურნეობების საწარმოო ურთიერთობა მომავალშიც განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებებით. კოლმეურნეობასთან მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ხელშეკრულებას კანონის ძალა აქვს და მისი შესრულება სავალდებულოა როგორც მტს-ებისათვის, ისე კოლმეურნეობებისათვის.

დაევალოთ ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი იმისადმი, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები ასრულებდნენ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

79. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გადასვლა, დაწყებული 1954 წლიდან, მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურების გამოანგარიშებაზე მტკიცე განაკვეთების მიხედვით.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას ზონების მიხედვით მტკიცე დიფერენცირებული განაკვეთები მტს-ების სამუშაოთა ნატურანაზღაურებისა მათ მიერ კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოთა სახეების მიხედვით, უხვი მოსავლისათვის წახალისების პრემიალური ანაზღაურების გამოყენებით, აგრეთვე წინადადებანი ნატურანაზღაურების ანგარიშში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარიცხვისა და ჩაბარების წესის შესახებ.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს:

ა) შეიმუშაოს და ერთი თვის განმავლობაში შეიტანოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის ახალი ტიპური ხელშეკრულების პროექტი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ კოლმეურნეობების მომსახურების ორგანიზაციაში ცვლილებათა გათვალისწინებით;

ბ) ერთი თვის ვადაში წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებათა და განკარგულებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

* * *

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს გაუაქტიურონ ხელმძღვანელობა მტს-ებისადმი, უზრუნველყონ მტს-ების საქმიანობის გაფართოება საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის სამუშაოთა მექანიზაციის ხაზით, გააძლიერონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობაში — მიღწეულ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის შემდგომი გამრავლება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოთხი წელი

პირველი ოქტომბერი ჩინელი ხალხის განთავისუფლების დიდი დღესასწაულია. ოთხი წლის წინათ ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა ძირეულ მობრუნებას დიდი ქვეყნის ცხოვრებაში — მობრუნებას დამყაყებული ფეოდალური ნაზოგადებიდან, მშრომელი მასების არაადამიანური იმპერიალისტური და ფეოდალური ჩაგვრიდან სახალხო-დემოკრატიული წყობილებისაკენ, რომლის დროსაც ეს მასები თავიანთი ქვეყნის ერთადერთი ბატონ-პატრონი გახდნენ. სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა ჩინეთი იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებული, ხუსტი, ნახევრადკოლონიური ქვეყანა იყო. კოლონიური მონობისაგან განთავისუფლების ეს გზა ჩინელ ხალხს უჩვენა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

საბჭოთა არმიამ, გაანადგურა რა პიტლერული გერმანია და იმპერიალისტური იაპონია, აღადგინა ჩინეთის ხალხს მასები თავიანთი თავისუფლებისათვის საბრძოლველად. კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის მაო ძედუნის ხელმძღვანელობით ჩინელმა ხალხმა მოიშორა უცხოელი იმპერიალისტების უღელი და დაამხო მემამულე ფეოდალთა ხელისუფლება — გომინდანის რეაქციული რეჟიმი.

ჩინელი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს დიდი გამარჯვებებით ეგებება. მამაცმა ჩინელმა მოხალისეებმა კორეელ ხალხთან ერთად, მისი გმირი სახალხო არმიის მხარდამხარ ჩაფუშეს ამერიკის იმპერიალიზმის გეგმები — ხელში ჩაგდო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია და შეეპყრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კორეაში მომხდარი დაბავება გზას უხსნის კორეის ხალხთხის მშვიდობიან გადაჭრას და შორეულ აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. მაგრამ განა შეიძლება ხალხებისათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი გადაწყდეს ისე, რომ ამაში მონაწილეობა არ მიიღოს აზიის ყველაზე დიდმა ქვეყანამ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ? მიუხედავად ამისა, მშვიდობის მოწინააღმდეგენი კვლავ უგულებელყოფენ დიდ ჩინელ ხალხს და არაფერს არ ერიდებიან იმისათვის, რომ არ დაუშვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის კანონიერ უფლებათა აღდგენა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ნამდვილი თავისუფლება და ფართო დემოკრატიული უფლებები მიანიჭა ხალხს. ჩინელი გლეხები, მუშები და მოსახლეობის მთელი დანარჩენი ფენები თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველად მონაწილეობენ სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების საყოველთაო არჩევნებში, ამუამად რომ მიმდინარეობს, ხელისუფლებისა, რომლისთვისაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა ყველაზე მაღალი მოვალეობაა.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის, რაც ჩინელ გლეხს მიწის რეფორმამ მისცა. სახალხო მთავრობის კანონით გლეხთა კავშირებში დარაზმულმა სოფლის მშრომელებმა ჩამოართვეს მემამულეებს 47 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, დიდძალი პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საცხოვრებელი სახლები, მარცვლეული. ყოველივე ეს გაუნაწილდა მოჯამაგირეებს, უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს. მემამულე ფეოდალები მოსპობილი არიან, როგორც კლასი. სამუდამოდ აღმოფხვრა გლეხობის მრავალსაუკუნოვანი ექსპლოატაცია ფეოდალების მიერ.

ჩინეთის სოფელში, სადაც წინათ 70 პროცენტი მოჯამაგირე და ღარიბი იყო, ახლა 90 პროცენტზე მეტი გლეხობა საკუთარ შრომითს მეურნეობას ეწევა საშუალო გლეხის დონეზე. გლეხები უფრო და უფრო ეტანებიან გაერთიანებას, მიწის ერთობლივად დამუშავებას. 90 მილიონი გლეხური მეურნეობიდან 35 მილიონი მონაწილეობს შრომითს ურთიერთდახმარების სხვადასხვა ჯგუფში. გარდა ამისა მოეწყო: 10.000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, 52 მსხვილი სახელმწიფო მეურნეობა და 10 პირველი სანიმუშო კოლმეურნეობა.

დიდ დახმარებას უწევენ და დიდად ზრუნავენ გლეხობისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტია და ცენტრალური სახალხო მთავრობა. ამხანაგ მაო ძე-დუნის ინიციატივით ამ წლების მანძილზე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გრანდიოზული მშენებლობა გაჩაღდა მდინარეებზე ხუაიხეზე, იანძიზე, ხუანხეზე, იუნდინზე, აგრეთვე სინძიანის პროვინციაში.

ჩინეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მიმდინარე წლის დამდეგისათვის მთლიანად აღდგენილი იყო და თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადააჭარბა ომამდელ დონეს. ეს წარმატებანი მიღწეულ იქნა იმ პატრიოტული შრომითი აღმავლობის მეოხებით, რომელმაც მოიცვა მშრომელთა ფართო მასები, და საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უანგარო, ძმური დახმარების მეოხებით.

სახალხო ჩინეთისადმი საბჭოთა კავშირის უანგარო ძმური დახმარების უდიდესი მნიშვნელობა აღნიშნულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ამა წლის 15 სექტემბრის დეპეშაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვისადმი. დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1953 წლის 15 სექტემბერს, ერთხმად მოსმენილ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრის ამხანაგ ლი ფუ-ჩუნის მოხსენება საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მშენებლობის საქმეში საბჭოთა მთავრობის მიერ დახმარების გაწევის საკითხზე. ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ დიდი საბჭოთა კავშირის მთავრობის თანხმობის მეოხებით — სისტემატურად გაუწიოს ჩინეთის ეკონომიური და ტექნიკური დახმარება 91 ახალი საწარმოს მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში და იმ 50 საწარმოს მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, რომლებიც ახლა იგება, ჩინელი ხალხი, რომელიც ენერგიულად სწავლობს საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილებასა და უახლეს ტექნიკურ მიღწევებს, შეძლებს თანდათანობით ააშენოს თავისი მძლავრი მძიმე ინდუსტრია. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმში ჩინეთის თანდათანობით გადასვლისათვის, ავრეთვე მშვიდობისა და დემოკრატიის იმ ბანაკის ძალების განმტკიცებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს“.

როგორც ცნობილია, მიიღო რა დეპეშის ტექსტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თქვა, რომ საბჭოთა ხალხს უხარია დიდი ჩინელი ხალხის წარმატებანი ჩინეთის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში. ჩინეთის შემდგომი ეკონომიური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის საქმეს მტკიცე საფუძველი აქვს და საიმედო ხელშია. ამბანაგმა გ. მ. მალენკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა უსურვებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აყვავებას, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრული კავშირის შემდგომ განმტკიცებას ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკეთილდღეოდ.

სულ სამი წელი დასჭირდა მრავალი წლის ომებით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას და ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისათვის პირობების მომზადებას. დემოკრატიულმა გარდაქმნებმა ჩინეთში, უწინარეს ყოვლისა მიწის რეფორმამ, დიდი ცვლილებები გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკაში. მრეწველობაში წამყვანი ადგილი უკავია ნაციონალიზებულ საწარმოებს (სახელმწიფო სექტორი), რომლებსაც სოციალისტური ხასიათი აქვთ. ეს საწარმოები იძლევა მძიმე მრეწველობის მთელი პროდუქციის 80 პროცენტს და მსუბუქი მრეწველობის 50-მდე პროცენტს.

მომდინარე წელს ჩინელი ხალხი შეუდგა მძიმე მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. წელს, მაგალითად, ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად კვლავ შენდება და რეკონსტრუირებულ იქნება 21 მეტალურგიული და ქიმიური ქარხანა, 24 მანქანათმშენებელი ქარხანა, 24 ელექტროსადგური, 10 ახალი რკინიგზის ხაზი და სხვ. ჰიდროტექნიკური მშენებლობის დარგში გრძელდება სახალხო მშენებლობანი მდინარეებზე ხუაიხეზე, იუნდინზე, ჰიდროტექნიკური სამუშაოები დაიწყო მდინარეებზე ლიაოხესა და ხანშუიზე.

ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად ამზადებენ სპეციალისტთა, მეცნიერ მუშაკთა, კვალიფიციურ მუშათა უდიდეს არმიას. ამჟამად 20.000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს სპეციალურ სკოლებში, რათა წარმოების მეთაფეო გახდეს. წელს იქმნება ახალი ინსტიტუტები — მეტალურგიის, ავიაციის, გეოლოგიის, ნავთობისა და სხვ.

სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად განუხრელად უმჯობესდება მუშათა მატერიალური მდგომარეობა და კულტურული ცხოვრება, ყველგან შემცირდა სამუშაო დღე 8 საათამდე. გაუქმებულია ბავშვთა შრომა, ქალთა შრომის გამოყენებაში შემოღებულია შეზღუდვანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მუშათა ხელფასი გადიდდა 60-120 პროცენტით, მაშინ როცა საქონლის ფასები სტაბილურ დონეზეა. 1949 წელს შემოღებულ იქნა მუშათა სოციალური დაზღვევის კანონი.

ჩინელ მუშათა პატიოსანი შრომა გმირობისა და პატრიოტიზმის საქმე გახდა. 1952 წლის დამლევს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის პატრიოტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა სახელმწიფო საწარმოთა ყველა მუშის 80 პროცენტი. 223 ათასამდე კაცს მიენიჭა სანიმუშო მუშის წოდება. ამ მუშებით ამაყობს მთელი ჩინელი ხალხი. პროფკავშირთა რეკომენდაციით 107 ათასი მუშა დაიწინაურეს ბრიგადირის თანამდებობაზე, 7.800 კაცი — საწარმოთა დირექტორებისა და დირექტორის მოადგილეთა თანამდებობებზე.

ძლიერდება და მტკიცდება მუშათა კლასის ორგანიზებულობა. ამჟამად პროფკავშირები გაერთიანებული არიან ერთიან ორგანიზაციად — სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციად, რომელშიც შედის 23 დარგობრივი პროფკავშირი და 180 ათასი ძირეული პროფკავშირული ორგანიზაცია. პროფკავშირთა წევრების საერთო რიცხვი 10 მილიონ 200 ათას აღწევს.

ეკონომიურ მშენებლობასთან ერთად სახალხო მთავრობა მშრომელთა სასარგებლოდ დიდ სოციალურ-კულტურულ მშენებლობას ეწევა, რაზეც იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი გასავლის 14,9 პროცენტი. ეს ხარჯები წლითიწლობით მატულობს და 1950 წელთან შედარებით 4,6-ჯერ გადიდდა. მომდინარე წელს სკოლებსა და უნივერსიტეტებში 53,6 მილიონი კაცი სწავლობს. გომინდანელთა რეჟიმის დროს კი დაახლოებით 21 მილიონი მოსწავლე იყო. ამჟამად თვითეულ მაზრაში მუშაობს სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება. ძველ ჩინეთში კი სოფელ ადგილებში თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებანი არ ყოფილა.

ჩინელი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს თავის სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოს. დაიწყო წინათ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნის დიდ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევის დიადი საქმე.

ვლ. როგოვი.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ფხენიანს დაბრუნდა

ფხენიანი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან ფხენიანს დაბრუნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. ვაგზლის მოედანზე გამმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფხენიანის ათასობით მცხოვრებმა — მუშებმა, მოსამსახურეებმა, მოსწავლეებმა, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებმა, ახლომახლო სოფლების გლეხებმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, მუშების, გლეხების, ქალების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი მიმართვის ტექსტი.

## საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი შვეიცარიაში

ციურიხი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჭადრაკო მატჩ-ტურნირის მე-17 ტური. ოთხი შეხვედრა საბო — სმისლოვის, ავერბახ — კერესის, პეტროსიან — რეშევსკისა და ნაიდორფ — ბრონშტეინისა ყაიმით დამთავრდა. შტალბერგ — კოტოვის, ეიგე — გელერის გადადებულ პარტიებში უკეთესი მდგომარეობა აქვთ საბჭოთა გროსმაისტერებს. ტაიმანოვმა გლეიგორიჩთან პარტია გადადო უპაიკო დაბოლოებით.

ხვალ მოხდება დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

## ფეხბურთი

### საქართველოს რესპუბლიკა ამბანაგური შეჯიბრება

მოგეხსენებოდა, რომ ხელოვნების „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები ბუნდი და მოსკოვის „სპარტაკი“. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები ბუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

### რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე წრე

დაიწყო საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრე ფეხბურთში.

**„ა“ ჯგუფში** გორის „დინამომ“ მოუგო ბორჯომის ნაკრებს ანგარიშით 2 : 1, ხოლო წითელწყაროს „ნეფტიანიკისა“ და თელავის „დინამოს“ ბუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2 : 2.

**„ბ“ ჯგუფში** ქუთაისის დინამოელებმა დაამარცხეს ხაშურის „ლოკომოტივი“ 5 : 1; სუხუმის „დინამომ“ მოუგო სტალინირის „სპარტაკს“ 4 : 1.

### სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). 28 სექტემბერს გათამაშდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის მეხუთე ტური ჭადრაკში. ლიდერმა — ლენინგრადის გუნდმა ესტონელ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში 8 პარტიიდან 6 ქულა შეაგროვა. საქართველოსა და ბელორუსიის გუნდების შეჯიბრებაში დამთავრდა მხოლოდ 4 პარტია. ანგარიშია 2 : 2. რსფსრ-ს და უკრაინის მოჭადრაკეთა შეხვედრის ანგარიში ჯერჯერობით არის 3 : 3. მოსკოვისა და ლატვიის გუნდების შეჯიბრებაში დამთავრდა 5 პარტია. წინ არიან ლატვიელი მოჭადრაკეები 3 : 2.

გათამაშდების ლიდერად კვლავ ლენინგრადის გუნდი ითვლება, რომელსაც 33½ ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

### ბანმოვარჯიშეთა საქალაქო პირველობა

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის 1953 წლის პირად პირველობაზე.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 25-მდე ოსტატმა და პირველთანრიგოსანმა. სასპორტო საზოგადოებათა უმრავლესობამ, რომელიც ზაფხულის პერიოდში თითქმის არც კი ემზადებოდნენ ამ პასუხსაგები ასპარეზობისათვის, ვერ შეძლო გათამაშებაში სპორტსმენთა მასობრივად გამოყვანა.

ტანმოვარჯიშე ქალთა შორის სასპორტო იარაღებზე სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშში მოგროვილი ქულებით პირველი ადგილი და თბილისის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ახალგაზრდა სპორტსმენმა ა. მებუკემ.

ვაჟთა შორის 103,4 ქულით ჩემპიონი გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. თაყაიშვილი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს პირველთანრიგოს